# ნარკოდამოკიდებულებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სარეაბილიტაციო ცენტრი

**მაგისტრი: ანა გოგლიძე**

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

*ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია კუპატაძე

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**თბილისი, 2023**

# განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა გოგლიძე 19.03.2023

# აბსტრაქტი

ყველაზე გავრცელებული და საზიანო აზრი ნარკოტიკებზე დამოკიდებულების შესახებ არის ის, რომ ეს ეხება მხოლოდ იმ პირს, რომელიც მოიხმარს სუბსტანციებს. თითქოს ჩვენ რომ შეგვეძლოს დამოკიდებული პირის გამოსწორება, მაშინ ყველაფერი კარგად იქნებოდა. ეს არის აღქმა, რომელიც არა მხოლოდ უზარმაზარ ზეწოლას ახდენს ინდივიდზე, რომელიც ნარკოტიკებზეა დამოკიდებული, არამედ უგულებელყოფს ტკივილს, რომელსაც განიცდიან ოჯახისწევრები და ახლობლები. ერთი ადამიანის დამოკიდებულების პრობლემა, სინამდვილეში ბევრი ადამიანისთვის საზიარო პრობლემა არის. ტკივილი და ავადმყოფობა დამოკიდებულების მქონე პირიდან ვრცელდება და მოიცავს პარტნიორებს, შვილებს, ძმებსა და მეგობრებს. ოჯახი შეიძლება აღმოჩნდეს უარყოფის, სირცხვილის, ბრაზისა და გაურკვევლობის ქსელში, რადგან მათ გვერდზე არის ადამიანი რომელიც მოხმარების გამო ჩამოშორებულია მათ რეალობას.

“You Don’t Get Over An Addiction By Stopping Using. You Recovery By Creating A New Life Where It’s Easier To Not Use. If You Don’t Create A New Life, Then All The Factors That Brought You To Your Addiction Will Catch Up With You Again..“

**საძიებო სიტყვები: დამოკიდებულება, ბრაუნფილდის რეგენერაცია, მდგრადი არქიტექტურა, მენტალური ჯანმრთელობა, მდგრადი დიზაინი.**